ჰილარი მაკაკი

ანასჩვეულებრივი ოთახეული

ინგლისურიდან თარგმნა
მაია წითაძემ

სულაკაურის
გამომცემლობა

თავი პირველი

ორგვლივ, საითაც გაიხედავდი, სულ წითელი აგურის ნაგებობები მოჩანდა; სახლს უკან გაშენებული ბაღი ფარდულების მწკრივითა და მაღალი გალავნით იყო შემოსაზღვრული. ზაფხულის არდადეგების დაწყებამდე უკანასკნელი უქმეები იდგა.

ნაომი კონროი ბაღის კიდეში მოუხერხებლად მიმჯდარიყო და წიგნს კითხულობდა. გოგონა წინა შაბათს ქალაქის ბიბლიოთეკას ესტუმრა. ძალზე მშობლიური თაროები, ვინ იცის, მერამდენედ გადაქექა და ბევრი სასურველი ნაწარმოები ამოარჩია. ახლა მარცხნივ ის წიგნები დაეხვავებინა, რომელთა წაკითხვაც უკვე მოესწრო; მარჯვნივ კი ისინი, რომლებიც ჯერ არც გადაეშალა. წაუკითხავი წიგნების გროვას იდაყვით ეყრდნობოდა, რათა ლიტერატურას მოწყურებული დებისაგან თავისი მონაპოვარი დაეცვა. გუმანით გრძნობდა, რომ უფროსი და, რუთი, უთვალთვალებდა და მოუთმენლად ელოდა, ნაომი კითხვას როდის დაამთავრებდა. საოჯახო კანონის თანახმად, წიგნი საყოველთაო საკუთრებად მიიჩნეოდა და მისი წაკითხვა ყველას შეეძლო.

რუთი ხედავდა, თავისი და სტრიქონებს თვალს როგორ აყოლებდა და თითოეულ გვერდს რა ხარბად ფურცლავდა. რუთი წაუკითხავი ნაწილის სისქესაც აკვირდებოდა და ოხრავდა. თვითონ წიგნები სახლში ვეღარ გამოჰქონდა, რადგან ბიბლიოთეკარმა მას ბარათი იმ მიზნით ჩამოართვა, იქნებ გოგონამ დაკისრებული ჯარიმა გადაიხადოსო.

– კი, მაგრამ მე ხომ საუკეთესო მკითხველი ვარ! – შეეპასუხა რუთი ბიბლიოთეკარს.

– პირიქით, ყველაზე უარესი ხარ! – შეუსწორა ქალმა. რუთს ჯარიმის გადასახდელი ფული ხელთ არ ჰქონდა (თუმცა, ასეც რომ ყოფილიყო, გადახდას მაინც არ აპირებდა). ამიტომ შინ ხელცარიელი დაბრუნდა და იძულებული გახდა, მხოლოდ დების არჩეული წიგნებით დაკმაყოფილებულიყო.

ნაომიმ ერთ-ერთი თავის კითხვა დაასრულა, თვალები მოისრისა და მზით განათებულ პატარა ბაღს მზერა მოავლო. იქაურობა ძალიან გადატვირთული ეჩვენა – მცენარეები, ირგვლივ მიმოფანტული ნივთები, წიგნებზე მონადირე დები...

ნაომი თერთმეტი წლისა იყო, რუთი კი – ცამეტის. ისინი უფროსი დედმამიშვილები გახლდნენ. კიდევ ორი და ჰყავდათ: რვა წლის რეიჩელი და ექვსი წლის ფიბი. იმ დღიდან, რაც რეიჩელი გაჩნდა, რუთსა და ნაომის „დიდებად“ მოიხსენიებდნენ. გოგონებს ისეთი შეგრძნება გაუჩნდათ, თითქოს ორივენი თავიანთი მყუდრო სამყაროდან ხელისკვრით გამოაძევეს.

– კიდევ ერთი კვირაც და, სწავლა შეწყდება, – აღნიშნა რუთმა, – ეგ ერთი სატანჯველი მაინც მოგვაკლდება.

– მე კიდევ, მთელი ზაფხული შინ გამოკეტვას სკოლაში სიარული მირჩევნია. სახლში ყოფნას ყველაფერი სჯობს, – თქვა ნაომიმ, მერე ზურგზე გადაწვა და წიგნების გროვა თავქვეშ ბალიშივით ამოიდო.

– აქედან უნდა გავიქცეთ, – უთხრა რუთმა და დის კალთაზე დადებულ წიგნს შეუმჩნევლად წაეტანა, – ჩვენ პირველები არ ვიქნებით. როცა დედა პატარა იყო, ბიძია რობერტიც ასე არ მოიქცა? სადღაც წავიდა და გაუჩინარდა.

– სულაც არა, – თქვა ნაომიმ, – საზღვაო ფლოტში ჩაირიცხა.

– რა მნიშვნელობა აქვს? ხომ წავიდა! – შენიშნა რუთმა.

– აქვს! – არ დაუთმო დამ.

– გეუბნები, ერთი და იგივეა-მეთქი! – დაიჟინა რუთმა და წიგნი ძირს დაუვარდა. ხმაურზე ნაომიმ თავი წამოსწია. დებმა ცოტა წაიძიძგილავეს, წიგნი ისევ ნაომიმ დაიბრუნა და დასთან კამათი გააგრძელა:

– გაქცევა უარესია, იმიტომ რომ წასასვლელი არ გვაქვს! თუ ნაცნობი ადგილებისკენ გავწევთ, ყოველთვის გამოჩნდება ვიღაც, ვინც უკან დაგვაბრუნებს, უცხო მხარეში კი დავიკარგებით. თან ისიც არ ვიცით, საიდან დავიწყოთ.

– საიდან და აქედან, – უპასუხა რუთმა და გადაყვლეფილი მუხლი აილოკა.

– კარგი, მაგრამ საკითხავი ის არის, სად მივდივართ?

– მართლაც! – უპასუხა დამ.

ეს ბაღი პირველად არ გამხდარა გაქცევაზე მეოცნებე გოგონების კამათის ჩუმი მოწმე.

ბაღის მეორე მხარეს რეიჩელსა და ფიბის თუნუქის კოლოფის ხუფზე მატლების მარათონი მოეწყოთ. მამისთვის ის ჭია-ღუები მოეპარათ, რომლებიც მისტერ კონროს ანკესზე წამოსაცმელად შეეგროვებინა. საზიზღარი თეთრი მატლების გარდა, იქ ვარდისფერებსა და მწვანეებსაც ნახავდით. გოგონები სამზარეულოდან წამოღებული ჩაის კოვზით

მატლების გროვას ურევდნენ და უპირატესობას ფერად-ფერადებს ანიჭებდნენ. რეიჩელს ვარდისფერები მოსწონდა, ფიბის კი – მწვანეები. აშკარად ჩანდა, ჭია-ღუების მარათონი მთელ ზაფხულს მათი საყვარელი გასართობი იქნებოდა. ამ თამაშს თავისი მკაცრი წესებიც ჰქონდა: მატლი ისე უნდა დაგესვა, რომ მისთვის რამენაირად სათანადო მხარეს, წინ გახოხება გეიძულებინა. თუ გაჩერდებოდა, ამ არსების ადგილიდან დაძვრა ხელახლა უნდა გეცადა. რეიჩელი თავის მატლს ბალახის ღეროთი უბიძგებდა, ფიბი კი – ასანთის ჩხირით. ჭია-ღუები ამ უკანასკნელ გამაღიზიანებელზე უფრო მეტად რეაგირებდნენ, მაგრამ შეჯიბრებას ხშირად ეთიშებოდნენ. უცებ ფიბის მწვანე მატლმა მოძრაობა შეწყვიტა.

– ალბათ ძალიან დასცხა, უნდა გავუშვა, – განაცხადა. საერთოდ, მატლების სპორტული კარიერა ყოველთვის თავისუფლების მოპოვებით მთავრდებოდა.

– დიდი სიკეთეა, როცა მატლებს დამოუკიდებლობას ჩუქნი და ისევ ბუნებაში აბრუნებ, – თქვა რეიჩელმა. მისი სიტყვები რუთის ყურს რომ მისწვდა, გოგონამ მატლებს შენატრა, ნეტავ თავისუფლებას მეც ვინმე მომანიჭებდესო.

– მინდა, რამე ამაღელვებელი მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, – უთხრა დას.

– ჰო, მაგრამ არაფერიც არ მოხდება... არასდროს... – უპასუხა ნაომიმ.

მართალიც იყო! თავად მისის კონროიმ ბობოქარი ბავშვობა გაატარა; იქნებ სწორედ ამიტომ აირჩია მეუღლედ მშვიდი და კეთილი ბუნების კაცი, რომლის შემხედვარეც, იფიქრებდი, ნეტავ ცხოვრებას როგორ უმკლავდებაო. მისტერ და მისის კონროის საკუთარი ავტომობილი არ ჰყავდათ, ტელევიზორს არ ყიდულობდნენ, შინაური ცხოველების შესახებ ერთი

სიტყვის გაგონებაც არ სურდათ და დასასვენებლადაც არასოდეს დადიოდნენ.

– რა საშინელება იქნება შენ ადგილას ყოფნა! – შეიბრალა ნაომი ერთმა თანაკლასელმა, როცა მისი ოჯახის ამბავი შეიტყო.

– საშინელება? – წამოენთო გოგონა, – შენნაირ მოსაწყენ ადამიანს ყველაფერი საშინელებად ეჩვენება, მე კი თავს მშვენივრად ვგრძნობ!

კონროის გოგონები ვერასოდეს აიტანდნენ, რომ ისინი ვინმეს შესცოდებოდა. თუმცა, ერთმანეთს ხშირად ეწუწუნებოდნენ.

ზაფხულის პირველმა უქმეებმა სწრაფად ჩაიარა. კვირას, ნაშუადღევს, ჩვეულებისამებრ, მისის კონროის მომზადებული ჩაი მიირთვეს. საღამოც არაფრით გამორჩეული არ გახლდათ. მისტერ კონროიმ თავის საყვარელ ვარდებს დამჭკნარი ყვავილები შემოაცალა. გოგონებს სასკოლო ფორმები მოუწესრიგეს, რეიჩელი და ფიბი დაბანეს და ორივეს სუფთა პიჟამები მისცეს; ნაომი დაუმთავრებელ საშინაო დავალებას ჩაუჯდა, რუთმა კი მას წიგნი მოჰპარა და სადღაც გაუჩინარდა. მისტერ და მისის კონროიმ ბაცი ჩაი და შოკოლადის ნამცხვარი მიირთვეს, მერე შემოსასვლელი კარი ჩარაზეს და თავიანთ საძინებელს მიაშურეს.

კვირა ღამით სახლი წყვდიადმა მოიცვა. ამ დროის დადგომას სიბნელე მთელი დღე ელოდა: ხან კიბის ქვეშ შეიყუჟებოდა, ხან ფეხსაცმლის კარადაში იმალებოდა, ხან კი – ლარნაკის ფსკერზე. ახლა მთელი სახლი მის საუფლოდ ქცეულიყო!

ფუმფულა დათუნიებთან ჩახუტებულ რეიჩელსა და ფიბის

ორსართულიან საწოლში ეძინათ. ფიბი ქვემოთ იწვა და მას ნიანგები ესიზმრებოდა, ოღონდ ისინი საშიშები სულაც არ იყვნენ. ეს ნიანგები მათი დივნის უკან ცხოვრობდნენ და მხოლოდ ორცხობილებს მიირთმევდნენ – ისიც, იმ შემთხვევაში, თუ პირში ძალით ჩასჩრიდი. ჩაის დალევის შემდეგ ხომ ყოველთვის უამრავი ასეთი ორცხობილა რჩებოდა. სიზმარში ფიბი ნიანგებს მხიარულად აპურებდა. საბნის ქვეშ თითებს ისე ამოძრავებდა, თითქოს ორცხობილას იღებსო. ზოგჯერ ძილში მღეროდა კიდეც და საკუთარი ხმა აღვიძებდა. თუმცა, სიბნელის არასოდეს შეშინებია.

ზედა საწოლზე რეიჩელი იწვა. ზურგით კედელს აჰკვროდა, რომ საწოლის კიდიდან რაც შეიძლება შორს ყოფილიყო. ეტყობა, თავს მაინცდამაინც მოხერხებულად ვერ გრძნობდა. ლოყა მსხვილ, წაბლისფერ ნაწნავზე დაედო და ისე ჩასძინებოდა. მას არაფერი ესიზმრებოდა, თუმცა ძილში იმიტომ შფოთავდა, რომ საწოლიდან გადმოვარდნისა ეშინოდა.

რუთისა და ნაომის ოთახში სრული უკუნეთი ჩამოწოლილიყო, რადგან ფანჯრებზე ძალიან სქელი, მუქი იისფერი ფარდები ეკიდა. ძველი, ალაგ-ალაგ მოყავისფრო-ნაცრისფრად გახუნებული ქსოვილი შუქს არ ატარებდა და გოგონები იძულებულნი იყვნენ, სატუსაღოს მსგავს წყვდიადში სძინებოდათ.

რუთს თვალი სიბნელისათვის გაეშტერებინა და თავისას ფიქრობდა. იგი ოცნებობდა, რომ ერთხელაც ზაფხულს სადმე სხვაგან გაატარებდა – მთაგორიან სოფელში და არა ლინკოლნშირის მსგავს ერთფეროვან დასახლებაში, რომელიც კარგა ხანია მოჰბეზრებოდა. იქ ორი სახლი ექნებოდა – ერთი თავისთვის, ერთიც ოჯახის წევრებისათვის, რომლებიც ხანდახან ესტუმრებოდნენ. თვითონ კი ძალიან, ძალიან სახელგანთქმული იქნებოდა... მაგრამ სახელგანთქმული... რომელ

საქმეში? თუმცა, ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარია, მდიდარი ყოფილიყო...

– გღვიძავს? – ჩურჩულით ჰკითხა ნაომიმ.

– ვფიქრობ, – უპასუხა რუთმა.

– რაზე?

– მდიდარი რომ ვიქნები, იმაზე.

– ჰმ!

მერე სიჩუმე ჩამოვარდა.

– სხვა არაფერზე ფიქრობ? – კვლავ ჰკითხა ნაომიმ.

– კიდევ, იმ ერთ კვირაზე, არდადეგებამდე რომ დარჩა.

– ნეტავი შენ! – თქვა ნაომიმ და დაიძინა.

მისის კონროის ესიზმრებოდა, თითქოს უცხო ქალაქში დაიკარგა. ის ყოველ ღამე ერთსა და იმავე ზმანებას ხედავდა; თუმცა, ამჯერად ქალი განსაცდელისგან იხსნეს და საკუთარ ბნელ, უსაფრთხო საძინებელში, მისტერ კონროისთან დააბ-რუნეს. მისი ქმარი კი სწორედ იმ დროს ფეხებს ისე იქნევდა, ეტყობა, სიზმარში ფეხბურთს თამაშობდა.

თავი მეოხე

სასწავლო წლის ბოლო კვირა სწორედ ისეთი განწყობით დაიწყო, როგორიც, ჩვეულებრივ, სემესტრის უკანასკნელი მონაკვეთისთვის არის დამახასიათებელი.

– თუ შეიძლება, რამე ვითამაშოთ, რა, – ეხვეწებოდნენ ბავშვები მასწავლებლებს.

– არა, არ გვცალია. სამაგისოდ წინ მთელი ზაფხული გაქვთ, – პასუხობდნენ ისინი, – ეს ერთი კვირა კი მეცადინეობას უნდა მოვახმაროთ. ხელფასს სწავლებისათვის გვიხდიან, გართობისათვის კი არა!

გული მაინც არავის სწყდებოდა, რადგან ეს ტრადიციული პასუხი იყო. მერე კლასის შფოთისთავები ახალ-ახალ გასართობს იგონებდნენ:

– ფილმს რომ ვუყუროთ, შეიძლება?

– ვიქტორინა ჩავატაროთ!

– დაფაზე ჩამოხრჩობანა ვითამაშოთ!

– რა თქმა უნდა, არა! – მტკიცედ აცხადებდნენ მასწავლებლები და მოსწავლეებს სამუშაო ფურცლებს ურიგებდნენ, –

მოგვიანებით, თუ დრო დაგვრჩება, მერხებს ქვემოდან მიწებებულ საღეჭ რეზინებს მოაშორებთ.

მერე სიჩუმე ჩამოვარდებოდა და ყველა, ძალაუნებურად, დავალებას ასრულებდა.

რუთი სხვა მეცხრეკლასელებთან ერთად მათემატიკის კაბინეტში იჯდა და მაგალითებს ჩასცქეროდა. ფანჯარა კი გაეღოთ, მაგრამ სიოც კი არ იძვროდა.

„ისეთი სუნია, თავი გვამებით სავსე სათბურში გეგონება“, – ტესტის ფურცელზე მიაჯღაბნა რუთმა, რადგან იცოდა, რომ ამ დავალებას აღარავინ გაასწორებდა.

„სულაც არა“, – მიუწერა გვერდით მჯდომმა გოგონამ, რომელსაც ვენდი ერქვა და კვერცხისგულისფერი თმა კეფაზე ცხენის კუდივით გაენასკვა.

– მე კენტ შეკითხვებს გავცემ პასუხს, შენ ლუწებს უპასუხე, მერე კი გავცვალოთ, – შესთავაზა რუთმა.

– არა, – მასწავლებლისგან შენიშვნა რომ არ მიეღო, მეზობელმა პასუხი ფურცელზე ისე მიაჩხაპნა, ზედ არც კი დაუხედავს.

მასწავლებლის მაგიდაზე სურნელოვანი ბარდის ყვავილებით სავსე ლარნაკი იდგა. ისეთი მაღალი იყო, თაიგულის ზედა ნაწილი ძლივსღა მოჩანდა. ფუტკარმა ყვავილები შორიდან შენიშნა და ფანჯარაში შემოფრინდა. თავდაპირველად მწერს ყურადღება არავინ მიაქცია. მასწავლებელი საპრეზენტაციო დაფიდან ნამუშევრებს ხსნიდა, თაროებს ალაგებდა და ნივთებს ახარისხებდა. ფუტკარი მხოლოდ მაშინღა შეამჩნია, როცა მწერმა გარეთ გასაფრენად ოთახი ბზუილით გადაჭრა და ფანჯრის მინას მიაწყდა.

– ვინმემ ეს მწერი აქედან გააგდოს! – ბრძანა მასწავლებელმა. ბავშვები შეძახილებით წამოიშალნენ, ფურცლებს